## საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030115266037918

**№ 01-11/ მ** **25 / იანვარი / 2018 წ.**

### ზაზა სოფრომაძის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, ბელარუსის რესპუბლიკაში, ქალაქ მინსკში, დაგეგმილ საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-4 სხდომაზე (ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრა ბელარუსის რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების თაობაზე ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის მიზნით. ასევე, დაგეგმილია ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებელი კომპანიების მონახულება) დასწრების მიზნით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2018 წლის 30 იანვრიდან 2018 წლის 3 თებერვლის ჩათვლით, ბელარუსის რესპუბლიკაში, ქალაქ მინსკში, მივლინებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი - **ზაზა სოფრომაძე.**

2. დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აანაზღაუროს სადღეღამისო, მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის (5 ღამე) გაწეული ხარჯები და სადღეღამისო ნორმის დანამატი.

საფუძველი: ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ნატო დოლიძის 2018 წლის 24 იანვრის №01-1518 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა სოფრომაძე